ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4339777

ნომერი: AR1651667

თარიღი : 21.12.2018

გაცემის თარიღი : 16.01.2019

გაცნობის თარიღი : 17.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იოველ ქუთათელაძეს ქუჩა, N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა კალანდია პ/ნ 62003000380
- სოხუმი ს. ბესლეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის №4049283 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 21 დეკემბერს №AR1651667 განცხადებით მომართა ზაზა კალანდიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 03

ივლისის №4049283 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის №4049283 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ქუთათელაძის ქ. №6-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.035.007), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2018 წლის 23 ივლისის №4081692 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 23 ივლისიდან 2018 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 26 სექტემბრის № 4180592 და 2018 წლის 03 დეკემბრის № 4281539 ბრძანებებით შევიდა ცვლილებები 2018 წლის 23 ივლისის №4081692 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა გაგრძელდა 2019 წლის 13 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 24 აგვისტოს №4132990 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის №4049283 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად დაფიქსირდა 184.9 კვ.მ, საერთო ფართობად 4097.0 კვ.მ, სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის №4049283 ბრძანებით შეთანხმებული -2,80 და 0.00 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდა 2018 წლის 21 აგვისტოს №AR1624451 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის №4049283 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელი ითხოვს, საცხოვრებელ ფართობად 2533,6 კვ.მ-ის ნაცვლად 2535,7 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 4097.0 კვ.მ-ის ნაცვლად 4099,1 კვ.მ-ის დაფიქსირებას. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია გასწორებული გეგმებიც.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართების და ნუმერაციის დაზუსტება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის №4049283 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი 4099,1 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 2535.7კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის №4049283 ბრძანებით შეთანხმებული I სართულის 0.00, II სართულის +4.20, IX სართულის +27.30 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 21 დეკემბერს №AR1651667 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის №4049283 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის №4049283 და 2018 წლის 24 აგვისტოს №4132990 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.